NATO
OTAN

ალმოაჩინე ნატო

გსურთ მიიღოთ დამატებითი ინფორმაცია? ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს: www.nato.int

ადამიანის დაცვა

ხშირად სრულიად ბუნებრივად გვეჩვენება, რომ შეგვიძლია თავისუფლად ვიმოძრაოთ უსაფრთხო და ეკონომიკურად სტაბილურ გარემოში. უსაფრთხოებას ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ყველა სფეროში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი კეთილდღეობისთვის.

ბრძოლა ახალი საფრთხეების წინააღმდეგ

მშვიდობის შენარჩუნების მეთოდები საფრთხეების ხასიათის ცვლასთან ერთად უნდა იცვლებოდეს. ნატო ცვლის თავისი თავდაცვითი პოტენციალის ორიენტაციას და მას მიმართავს დღეს არსებული საფრთხეების წინააღმდეგ. ის ახდენს ძალების ადაპტაციას და ავითარებს მრავალეროვნულ მიდგომას ტერორიზმთან, არშემდგარ სახელმწიფოებთან და უსაფრთხოების სხვა პრობლემებთან, მაგალითად, მასობრივი განადგურების იარაღის პრობლემასთან გასამკლავებლად.

პარტნიორული პროგრამების ჩამოყალიბება

დიალოგსა და თანამშრომლობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანი ურთიერთობებისა და საერთაშორისო დონეზე ურთიერთგაგების გაღრმავებისათვის.

ნატო უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს წევრ და პარტნიორ ქვეყნებს ჩაატარონ კონსულტაციები უსაფრთხოების საკითხებზე, აამაღლონ ერთმანეთისადმი ნდობა და, საბოლოოდ თავიდან აიცილონ კონფლიქტები.

პრაქტიკული თანამშრომლობისა და მრავალმხრივი ინიციატივების მეშვეობით, ქვეყნები ერთობლივად წყვეტენ უსაფრთხოების სფეროში წარმოქმნილ ახალ პრობლემებს.

მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარება

შეიძლება ერთდროულად მრავალმა მხარემ ისარგებლოს სტაბილურობის სიკეთით. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობას იმ რეგიონებში, სადაც დაძაბულობა უსაფრთხოების პრობლემებს ქმნის. სწორედ ამიტომ, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, ნატო აქტიურად მონაწილეობს კრიზისების მართვის ოპერაციებში.

ნატო-ს წევრი და პარტნიორი ქვეყნები

ჩრდილოატლანტიკურ ხელშეკრულებას ხელი მოეწერა 1949 წლის 4 აპრილს.

წევრი ქვეყნები (*ნატო-ში შესვლის თარიღი)

ალბანეთი /2009
ბელგია /1949
ბულგარეთი /2004
კანადა /1949
ხორვატია /2009
ჩეხეთი /1999
დანია /1949
ესტონეთი /2004
საფრანგეთი /1949
გერმანია /1955
საბერძნეთი /1952
უნგრეთი /1999
ისლანდია /1949
იტალია /1949
ლატვია /2004
ლიტვა /2004
ლუქსემბურგი /1949
ნიდერლანდები /1949
ნორვეგია /1949
პოლონეთი /1999
პორტუგალია /1949
რუმინეთი /2004
სლოვაკეთი /2004
სლოვენია /2004
ესპანეთი /1982
თურქეთი /1952
დიდი ბრიტანეთი /1949
ამერიკის შეერთებული შტატები /1949

"პარტნიორობა მშვიდობისათვის" წევრი ქვეყნები

სომხეთი
ავსტრია
აზერბაიჯანი
ბელარუსია
ბოსნია და ჰერცოგოვინა
ფინეთი
საქართველო
ირლანდია
ყაზახეთი
ყირგიზეთი
მალტა
მოლდავეთი
მონტენეგრო
რუსეთი
სერბია
შვედეთი
შვეიცარია
ტაჯიკეთი
ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკა მაკედონია*
თურქმენეთი
უკრაინა
უზბეკეთი

პარტნიორები ხმელთაშუა ზღვის დიალოგში

ალჟირი
ეგვიპტე
ისრაელი
იორდანია
მავრიტანია
მაროკო
ტუნისი

სტამბულის თანამშრომლობის ინიციატივის წევრი ქვეყნები

ბაჰრეინი
ქუვეითი
ყატარი
არაბთა გაერთიანებული საემიროები

*თურქეთი აღიარებს მაკედონიის რესპუბლიკას მისი კონსტიტუციური სახელით.

რა არის ნატო?

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო) მსოფლიოს ერთერთი უდიდესი საერთაშორისო ორგანიზაციაა. ეს არის პოლიტიკური და სამხედრო ალიანსი, რომელიც 28 წევრ ქვეყანას აერთიანებს ევროპასა და ჩრდილო ამერიკაში.

ეს ქვეყნები ატარებენ შეხვედრებს, რომელთა მიზანია თანამშრომლობა უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში. ამ თვალსაზრისით, ნატო უნიკალური მაკავშირებელი რგოლია ამ ორ კონტინენტს შორის პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის საქმეში.

რას აკეთებს ნატო?

ნატო-ს ამოცანაა პოლიტიკური და სამხედრო საშუალებებით დაიცვას თავისი წევრები. ის აგრეთვე ხელს უწყობს სხვა ქვეყნებთან კონსულტაციებსა და თანამშრომლობას უსაფრთხოების საკითხების ფართო სპექტრში, როგორიცაა, მაგალითად, თავდაცვის სისტემის რეფორმა და სამშვიდობო ოპერაციები.

დისკუსიებისა და პარტნიორული პროგრამების მეშვეობით, ნატო-ს თავისი წვლილი შეაქვს თავის წევრ ქვეყნებსა და მათ საზღვრებს გარეთ კონფლიქტების თავიდან აცილების საქმეში.

ნატო პროპაგანდას უწევს დემოკრატიულ ფასეულობებს და მხარს უჭერს დავების მშვიდობიანი გზით მოგვარებას. დიპლომატიური ძალისხმევის წარუმატებლობის შემთხვევაში, მას აქვს სამხედრო პოტენციალი, რომელიც საშუალებას აძლევს დამოუკიდებლად, ან სხვა ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ჩაატაროს კრიზისის მართვისა და მშვიდობის შენარჩუნებისათვის აუცილებელი ოპერაციები.

ნატო-ს აგრეთვე აქვს მესამე განზომილება, რომელიც ითვალისწინებს ქმედებას სამოქალაქო თავდაცვის სფეროში, მოკავშირეებისა და პარტნიორების დახმარებას კატასტროფების შემთხვევაში, ასევე თანამშრომლობის ხელშეწყობას მეცნიერებისა და ეკოლოგიის სფეროებში.

როგორ მუშაობს ნატო?

ყოველ წევრ ქვეყანას ჰყავს მუდმივი დელეგაცია ბრიუსელში განლაგებულ ნატო-ს პოლიტიკურ შტაბ-ბინაში. დელეგაციებს სათავეში უდგანან ელჩები, რომლებიც წარმოადგენენ თავიანთ მთავრობებს ალიანსის კონსულტაციების დროს და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

ჩრდილოატლანტიკური საბჭო ამ ორგანიზაციის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური ორგანოა, რომელშიც გადაწყვეტილებები მიიღება. ის იკრიბება სხვადასხვა დონეზე. შეხვედრების თავმჯდომარეა ნატო-ს გენერალური მდივანი, რომელიც წევრებს ეხმარება უმნიშვნელოვანეს საკითხებზე შეთანხმების მიღწევაში. ნატო-ს ყოველ კომიტეტში ყველა გადაწყვეტილება კონსენსუსის გზით მიიღება. ამდენად, "ნატო-ს გადაწყვეტილება" ყველა წევრი ქვეყნის კოლექტიური ნების გამოხატულებაა.

ნატო-ს საკუთარი ძალების რიცხოვნობა ძალიან მცირეა. როცა ჩრდილოატლანტიკური საბჭო თანხმდება ოპერაციის ჩატარებაზე, წევრები ნებაყოფლობით გამოყოფენ თავიანთ ძალებს. მისიის დამთავრების შემდეგ, ეს ძალები საკუთარ ქვეყნებში ბრუნდება.

ამ ოპერაციების კოორდინაციისა და ჩატარების ფუნქცია ეკისრება სამხედრო სარდლობის სტრუქტურას. ეს სტრუქტურა შედგება შტაბისა და სხვადასხვა წევრ ქვეყანაში განლაგებული ბაზებისაგან.

ნატო-ს ყოველდღიური საქმიანობა, სამოქალაქო და სამხედრო სტრუქტურები და ინვესტიციები უსაფრთხოების პროგრამებში ფინანსდება საერთო ბიუჯეტებიდან, რომლებშიც წევრი ქვეყნების მთავრობებს თავიანთი შენატანები შეაქვთ, ხარჯების განაწილების შეთანხმებული ფორმულის შესაბამისად.

© NATO 2010 - GEO